# შპს კოლეჯი ფანასკერტელი

## მოდი, ისწავლე, დასაქმდი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი 30 წელია აქტიურად მოღვაწეობს პროფესიული განათლების სივრცეში. ამ წლების განმავლობაში კოლეჯი ინტენსიურად იღებს ყველა იმ გამოწვევას, რომელსაც გვთავაზობს ჩვენი ქვეყნის პროფესიული საგანმანათლებლო სისტემა. კოლეჯი ყოველწლიურად უშვებს კვალიფიცირებულ კურდამთავრებულებს და აქტიურადაა ჩართული იმ სიახლეების დანერგვაში, რომელსაც თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები აწესებს. ამის დასტურია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთ, გერმანულ კლინიკებში. კოლეჯს გააჩნია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასწავლო გარემო და ლაბორატორიები, ავტორიზებული პროგრამები, მაღალკვალიფიცირებული პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი (თბილისსა და თელავში).

2022 წლის მიღებისათვის კოლეჯი თბილისში მიღებას გეგმავს 6 ავტრიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: საექთნო განათლება, ფარმაცია, აღმზრდელი, საოფისე საქმე (ინტეგრირებული), საფინანსო სერვისები და ინფორმაციის ტექნოლოგია, თელავის განყოფილებაში, კი 4 ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: საექთნო განათლება, ფარმაცია, აღმზრდელი, საოფისე საქმე.

## მისია

დავძლიოთ გამოწვევები განვითარების გზაზე და გავიმყაროთ წამყვანი პოზიცია, როგორც მდგრადმა, ინოვაციურმა  და განვითარებადმა მრავალპროფილურმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ასევე, უზრუნველვყოთ კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ქალაქ თბილისსა და კახეთის რეგიონში. ჩვენ, როგორც ტრადიციული დაწესებულება, ვზრუნავთ განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობების განვითარებაზე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების ხელშეწყობასა და დასაქმებაზე.

**კოლეჯის მისია ზუსტად პასუხობს მის განაცხადს – „მოდი, ისწავლე, დასაქმდი“.**

## ხედვა

გავხდეთ ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საკუთარი ინფრასტრუქტურით, ინტელექტუალური და მატერიალური შესაძლებლობებით შეძლებს უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის მომზადებას შრომის ბაზრისთვის, რაც აისახება დასაქმების გაზრდილ მაჩვენებელზე 2025 წლისათვის.

## ღირებულებები

პატრიოტიზმი, სამართლიანობა, თანასწორობა, ხარისხი, სოციალური პასუხისმგებლობა, გუნდურობა, გამჭვირვალობა, ინოვაციებისკენ სწრაფვა და მუდმივი ზრუნვა  თვითგანვითარებაზე

# ბრენდირება

2016-2017 წლებში საქართველოში, კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით განხორციელდა ბრენდირების პროცესი. აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი. კოლეჯმა ბრენდირების ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა და მიიღო მაქსიმალური შეფასება. კოლეჯი ორივე წელს, 5 ვარსკვლავის მფლობელი გახდა .

# საერთაშორისო პარტნიორობა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი მე-6 წელია თანამშრომლობს გერმანულ კომპანია - Medicjobline“-თან, რომელიც გერმანიაში დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაციას წარმოადგენს.

აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნებისათვის კვალიფიკაციის აღიარებას გერმანიაში, დასაქმებისთვის შესაფერისი კლინიკების მოძიება/შეთავაზებას და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

გერმანიაში, დიპლომის (კვალიფიკაციის) აღიარებისას გამოვლენილი საგნებისა და შესაბამისი საათების ნაკლებობის შემთხვევაში ჩვენი კოლეჯი უზრუნველყოფს მათ ანაზღაურებას თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსის გატარებით. ამის დამადასტურებლად კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს, რომელსაც აღიარებს გერმანული მხარე. სტუდენტები პარალელურ რეჟიმში ინტენსიურად ემზადებიან გერმანულ ენაში. აღნიშნული სწავლება ფინანსდება გერმანული მხარის მიერ. სწავლების დასრულების შემდეგ სტუდენტები გადიან გასაუბრებას დამსაქმებელი კლინიკების წარმომადგენლებთან, დებენ კონტრაქტებს და სამუშაო ვიზით მიემგზავრებიან გერმანიაში, კონტრაქტში მითითებული ვადით.

# ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები

# ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები

# ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები

# კოლეჯის სტრუქტურა

# სტუდენტური სერვისები

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში სტუდენტთა მომსახურების მხარდაჭერას ახორციელებს ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა დახმარებითაც სტუდენტები იღებენ სჭირო ინფორმაციას და კონსულტაციებს, რეგისტრაციის, ჩარიცხვის, ექსტრაკულიკურული და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ. კოლეჯის ადმინისტრაციის მხარდაჭერა გულისხმობს კოლეჯის სერვისებით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას და მათ მხარდაჭერას ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე.

კოლეჯში წარმოებს შემდეგი ტიპის სტუდენტური მომსახურების სერვისები:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები
- პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები
- პროფორიენტაცია და კარიერის მართვა
- სასწავლო პროცესი (ონლაინ და აუდიტორიული)
- ადმინისტრაციული საკითხები
- ჯანდაცვა და უსაფრთხოება
- საფინანსო სერვისები
- პირის საჭიროებიდან გამომდინარე სხვა საკითხები

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

სსსმ პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების ადაპტაცია. ამ შემთხვევაში იცვლება სწავლის შედეგები შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს ტიპური კვალიფიკაციის მინიჭებას. შესაბამისად როცა სწავლის შედეგები უცვლელად იქნა შენარჩუნებული და მიღწეული, კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს  კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - იმის და მიხედვით, როგორც გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის წესში

# ფორმალური განათლება

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელში შემუშავებულია ფორმალური განათლების აღიარების წესი, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მიღებული, წინარე ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესაძლობლობებს და შესაბამის პროცედურებს, რომლის მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება დასტურდება ოფიციალური ძალის მქონე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით (სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით), დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ იმ პროგრამის მიზნებისათვის, რომელზეც ჩაირიცხა.

ფორმალური განათლების აღიარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- განცხადების წარდგენა
- კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება
- კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

# სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე ხორციელდება კრედიტის მინიჭება. კრედიტი გამოხატავს ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს, გაცნობით პრაქტიკას, პრაქტიკულ პროექტს, საწარმოო პრაქტიკას, დამოუკიდებელ მუშაობას.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- შეფასების გზით ფორმალურ სასწავლო გარემოში;
- შეფასების გზით დისტანციური არხების გამოყენებით ონლაინ შეფასების გზით.

# სასწავლო გარემო

კოლეჯი ფანასკერტელის სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია ინტერნეტით, თანამედროვე ტექნიკით და ინფრასტრუქტურით, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია ხარისხიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

**აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო აუდიტორია**

**ქიმიური ლაბორატორია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის**

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სიმულაციური აფთიაქი

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ლაბორატორია

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ლაბორატორია

საექთნო განათლების სასწავლო აუდიტორია

სამკითხველო სივრცე

სასწავლო აუდიტორია ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
# ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support.

**მიზანი**

შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

**დაშვების წინაპირობა**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის - საბაზო განათლება.

**დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

**პროგრამის სტრუქტურა**

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 31 კრედიტი  არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 13 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები
იმ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვონ ჯამურად 75 კრედიტი.
მოცულობა - 75 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა - 14 თვე
იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვონ ჯამურად 60 კრედიტი. მოცულობა - 60 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა - 11 თვე

**შესაბამისი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

**პროგრამის განხორციელების ადგილი: თბილისი**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
# საფინანსო სერვისები/Finance Cervices

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

**მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალს, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.

**დაშვების წინაპირობა/წინაპირობები**

- საბაზო განათლება
- არანაკლებ 17 წელი

**დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო- საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

**პროგრამის სტრუქტურა:**

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 16 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს 35 კრედიტის მოცულობით.

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 51 კრედიტი.

იმ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვონ ჯამურად 66 კრედიტი.
მოცულობა - 66 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა - 12 თვე

იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვონ ჯამურად 51 კრედიტი.
მოცულობა - 51 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა - 9 თვე

**შესაბამისი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
3. განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

**პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი/ქ. თელავი**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
# საოფისე საქმე/Office Work

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work

**მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს 1. კვალიფიციურ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას;

**დაშვების წინაპირობა**

სრული ზოგადი განათლება

**დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

**პროგრამის სტრუქტურა არაინტეგრირებული პროფესიული პროგრამისთვის**

საოფისე საქმის საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 59 კრედიტი.

იმ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვონ 89 კრედიტი

მოცულობა - 89 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა - 16 თვე

იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვონ 59 კრედიტი.

მოცულობა - 59 კრედიტი სავარაუდო ხანგრძლივობა - 11 თვე

**პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თელავი**

# ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საოფისე საქმე/Office Work

**ინოვაცია პროფესიულ განათლებაში - აღნიშნული პროგრამით გეძლევათ საშუალება დაეუფლოთ საოფისე საქმის პროფესიულ პროგრამას და ამასთან ერთად მიიღოთ ისეთი დიპლომი რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატთან**

2020 წლიდან შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი ახორციელებს საოფისე საქმის (ინტეგრირებული) ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმილია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების ფორმით, რომელიც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების ასახვას პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ზოგადი მოდულებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის გაერთიანებით პროგრამაში ჩაშენებულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულები, რომლის პარალელურად განხორციელდება საერთო დარგობრივ/პროფესიული მოდულის სწავლება, ხოლო შემდეგ თითოეული კვალიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრული სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულთა სწავლება.

**პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში/Secondary Vocational Qualification in Office Work

**მიზანი:**

პროგრამის მიზანია, საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

ასევე, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს 1. კვალიფიციურ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას;

**დაშვების წინაპირობა:**

საბაზო ზოგადი განათლება

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები** :

საოფისე საქმის სპეციალიზაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთვევაში კრედიტების რაოდენობა შეადგენს:

იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვონ 142 კრედიტი

მოცულობა - 142 კრედიტი ხანგრძლივობა - 3,5 წელი

იმ პირებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვონ 112 კრედიტი.

მოცულობა - 112 კრედიტი ხანგრძლივობა - 3 წელი

**შესაბამისი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები
2. მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში
3. აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე
4. მოამზადოს დოკუმენტების პროექტები
5. მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა
6. კოორდინირება გაუწიოს ორგანიზაციული ქვედანაყოფების საქმიანობას
7. უზრუნველჰყოს ინფორმაციის გაცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებას შორის.

**პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი/Preschool Education

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**

„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education".

**მიზანი**

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

**დაშვების წინაპირობა**

სრული ზოგადი განათლება

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.
იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია
მოცულობა: 146 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა: 26 სასწავლო თვე
იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 116 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 116 კრედიტი. აქედან ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, ხოლო სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულებისა - 105.

**შესაბამისი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- ბავშვის განვითარების ხელსემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

**პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი/თელავი**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიქო)/Pharmacy

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში / Higher Vocational Qualification in Pharmacy.

**მიზანი**

პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

**დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება.

**დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

**პროგრამის სტრუქტურა**

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. ჩარჩო დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით.

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- მოცულობა: 123 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 153 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 28 სასწავლო თვე

**შესაბამისი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
4. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
5. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
7. მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
8. გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;
12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

**კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის პრეროგატივაა .

**პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი/ქ. თელავი**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება/Nursing

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

**მიზანი**

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

**დაშვების წინაპირობა**

სრული ზოგადი განათლება

**დასაქმების სფერო და შესაძლებლობები საექთნო საქმეში**

კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

**პროგრამის სტრუქტურა**

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.

**შესაბამისი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა

8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

**კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ამ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

**პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი/ქ. თელავი**

# სახელმწიფო მომზადების პროგრამა სალარო ოპერაციების განხორციელება

**პროგრამის სახელწოდება** - სალაროს ოპერაციების განხორციელება

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** - 9

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** - საბაზო განათლება

**პროგრამის მიზნები** - პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელთა გამოყენებით შეძლებენ სალაროს ოპერაციების განხორციელებას და ნაღდ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებას.

**სწავლის შედეგები** (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით კურსდამთავრებულს შეუძლია) :

ა) ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციების (თანხის მიღება/გაცემა) განხორციელება;
ბ) სალაროს გახსნისა და სალაროს დახურვის ოპერაციების განხორციელება;
გ) სალაროს ნაშთის კონტროლის განხორციელება;
დ) ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების ინკასაციის ოპერაციის განხორციელება

**პროგრამის მოკლე აღწერა** - პროგრამა განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის რომლებიც ფლობენ სულ მცირე საბაზო განათლებას, არიან მინიმუმ 17 წლის ასაკის და სურთ შეისწავლონ სალარო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს როგორც თბილისში, ასევე თელავში და ხანგრძლივობა არის 9 კვირა. პროგრამის საათობრივი დატვირთვა ამ 9 კვირის განმავლობაში არის 180 საათი. პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის B გარემოში, სადაც განთავსებულია კომპიუტერები და სასწავლო პროგრამა "ALTA SOFTWARE" .

სწავლების განმავლობაში მსმენელებს ექნებათ განმავითარებელი შეფასებები როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება სწავლების მე-9 კვირას. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს შემდეგი ტიპის შეფასებას: 1. სწავლის შედეგი დადასტურდა; 2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

ყველა სწავლის შედეგის მიღწევის შემდგომ კურსდამთავრებულზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

**„სალარო ოპერაციების განხორციელების“ მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი:**

**ქ. თბილისი/ქ. თელავი**

# სახელმწიფო მომზადების პროგრამა კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

**პროგრამის სახელწოდება** - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** - 9

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** - საბაზო განათლება

**პროგრამის მიზნები** - დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა ცოდნით და გამოყენებით მსმენელები შეძლებენ კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორც კერძო და საჯარო დაწესებულებებში, ასევე საკუთარი მოხმარებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

**სწავლის შედეგები** (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით კურსდამთავრებულს შეუძლია) :

1. ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
2. ოპერაციული სისტემის გამართვა;
3. გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია;
4. ოპერაციული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
5. ქსელური მოწყობილობების დამისამართება;

**პროგრამის მოკლე აღწერა** - პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც ფლობენ, არანაკლებ, საბაზო განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა დარგის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობა 144 საათს, ხოლო სასწავლო პროცესი 9 კვირას მოიცავს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან კოლეჯის C სასწავლო გარემოში - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, პროგრამას განახორციელებს დარგის სპეციალისტი. მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

**„კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის“ მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი:**

**ქ. თბილისი**

# სახელმწიფო გადამზადების პროგრამა
# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

**პროგრამის სახელწოდება** - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** - 11

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში(დარგში) მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის გამოცდილება

**პროგრამის მიზნები** - პროგრამის მიზანია მსმენელების გადამზადება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობაში

**სწავლის შედეგები** (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით კურსდამთავრებულს შეუძლია) :

1. ბავშვის შეფასება
2. ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა
3. სსსმ ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა
4. საგანმანათლებლო პროცესში ოჯახისა და თემის ჩართულობის მნიშვნელობის განსაზღვრა
5. ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ასაკობრივი თავისებურებებისა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების განსაზღვრა
6. სოციალურ-ემოციური გარემოს მნიშვნელობის განსაზღვრა
7. დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების რაობის განსაზღვრა

**პროგრამის მოკლე აღწერა** - პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის რომლებსაც აქვთ სრული ზოგადი განათლება და დარგში მუშაობის მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება. სასწავლო პროცესი მოიცავს 11 კვირას, რომელიც არის ჯამში 176 საათი. სასწავლო პროცესის განმავლობაში გათვალისწინებულია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტი. ქ.თბილისში მეცადინეობები ჩატარდება "შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში" ქ.თბილისის განყოფილება (მის: ზაზიაშვილის ქ. N1) და ქ. თელავში (შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დამატებითი ფართი) (მის. ლესელიძის N1). ასევე გიდასტურებთ, რომ Covid-19 ის პირობებში კოლეჯმა მიიღო ლექციების ონლაინ ფორმატში ჩატარების სათანადო

გამოცდილება, შესაბამისად თეორიული ნაწილი შესაძლებელია ონლაინ ფორმატში ჩატარდეს თუ ამის საჭიროება დადგება. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება სწავლების მე-11 კვირას. შეფასების სისტემა ითვალისწინებს სწავლის შედეგების დადასტურებას. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

სწავლის დასასრულს სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში მსმენელები მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

**„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა“ მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი/ქ. თელავი**

# სახელმწიფო მომზადების პროგრამა გერიატრიული ასისტენტი

**პროგრამის სახელწოდება** - გერიატრიული ასისტენტი

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** - 6

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** - საშუალო განათლება/ასაკი-18 წელი

**პროგრამის მიზანი** - პროფესიული მომზადების პროგრამის ,,გერიატრიული ასისტენტი" მიზანია მსმენელმა შეიძინოს გერიატრიული ასაკის პირის მოვლის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარჩვევები, რაც ითვალისწინებს მოვლას, სხვადასხვა დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, ეფექტურ კომუნიკაციას და მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას. მათ შორის: კვებას, ჰიგიენის მოწესრიგებას, ჩაცმა/გახდას, საწოლის გამზადებას, საწოლისა და პირადი თეთრეულის გამოცვლას, დახმარება მოძრაობის დროს; პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, მისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას, ტრანსპორტირებას, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვას.

კურსის დასრულების შემდეგ პირს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს მომვლელად ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, სათემო ან საოჯახო ტიპის მომსახურება, დღის ცენტრი).

**სწავლის შედეგები** :

1. მოვლის პრინციპების განმარტება
2. ეფექტური კომუნიკაცია მოვლაში
3. გერიატრიული ასაკის თავისებურების განმარტება
4. მოვლითი ღონისძიებების ჩატარება
5. დამოუკიდებლობის შენარჩუნების ხელშეწყობა
6. პროფილაქტიკური ღონისძებების ჩატარება

**პროგრამის მოკლე აღწერა** - პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,გერიატრიული ასისტენტი “, გერიატრიული ასაკის პირის მოვლის თანამედროვე მიდგომების შესწავლისა და მოვლის პრაქტიკულ უნარჩვევებს დაუფლების სურვილის შემთხვევაში, სწავლა შეუძლია სრული ზოგადი განათლების მქონე სრულწლოვან პირს. მომზადების კურსის გავლის შედეგად მათ შეეძლებათ დასაქმდნენ ბინაზე და სხვადასხვა ინსტიტუციებში (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, სხვადასხვა ტიპის თავშესაფარი, სათემო ორგანიზაციები, საცხოვრისები) როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სასწავლო პროცესი მოიცავს 144 საათს (6 კვ): 32 სთ თეორია, 102 სთ პრატიკული კომპონენტი, 10 სთ შეფასება.

**სასწავლო პროცესი:**

**ქ. თბილისში**- თეორიული ნაწილი წარიმართება დაწესებულების ბაზაზე AC გარემოში ან/და დისტანციური ფორმით. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი “ შესაბამისად აღჭურვილ სიმულაციურ გარემოში (30 მსმენელი).

**ქ. თელავში**- თეორიული ნაწილი წარიმართება დაწესებულების ბაზაზე AC გარემოში ან/და დისტანციური ფორმით. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, შესაბამისად აღჭურვილ C გარემოში (30 მსმენელი).

შეფასების სისტემა ითვალისწინებს სწავლის შედეგების დადასტურებას მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებით და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
**ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;**
**ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.**
სწავლის დასასრულს, სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, მსმენელები
მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

**დასაქმების სფეროები:**
091 - ჯანდაცვა (ვიწრო სფერო)
092 - სოციალური კეთილდღეობა (ვიწრო სფერო)
გერიატრიული ასისტენტი მომზადების **პროგრამის განხორციელების ადგილი:**

ქ. თბილისი ზაზიშვილის ქ. N1

ქ. თელავი ლესელიძის ქ N1

# სტუდენტური ცხოვრება

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში 2014 წლიდან ფუნქციონირებს „მედიკოსთა კლუბი“. რომელიც ზრუნავს ჩვენი სტუდენტების განათლების მრავალფეროვნებასა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე. „მედიკოსთა კლუბი“ პერიოდულად მართავს დისკუსიებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ცნობიერების ამაღლების მიზნით, „მედიკოსთა კლუბის“ წევრი სტუდენტები აწყობენ შემეცნებით პრეზენტაციებს. შემეცნების ეს ფორმა მეტად სასარგებლოა, ერთი მხრივ, „მედიკოსი“ სტუდენტებისთვის, რომლებიც ამ გზით უღრმავდებიან და საფუძვლიანად ეცნობიან საპრეზენტაციო საკითხებს, ხოლო, მეორე მხრივ, „არამედიკოსი“ სპეციალობის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა დაავადებების, მათი გამომწვევების, გავრცელების გზებისა და მათთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.



ამიერ
ინგლისურ
ფასიანები

# საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, გ. ზაზიშვილის ქ. N1

მობილური: **568 40 20 20; 599 14 36 72**

ქ. თელავი, ლესელიძის ქ. N1

მობილური: 593 16 16 35

http://fanaskerteli.edu.ge/

facebook https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge

fanaskerteli@gmail.com